სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N1-85

24 ოქტომბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ **სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ხატია ჯიქურიძის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი მაია იზორია **პ/N 01015024914** (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **ქ. თბილისში წინამძღვრიშილის ქუჩა/ცაბაძის ქუჩაN200/11-ში მდებარე შენობის მშენებლობის ნებართვისათვის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (საკადასტრო კოდი N 01.13.07.023.063.01.529), (საექსპერტო მომსახურება CPV 7131900)**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი უნდა შესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების **2,1 პუნქტს**

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1250,00 (ერთი ათას ორასორმოცდაათი) ლარს ყველა გადასახადის ჩათლით**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოსთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გასახადებს.

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული სამუშაოს კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სააგენტოს" ადმინისტრაციული სამსახურის მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ფიფაიშვილი **პ/N01023008309**

6 სამუშაოს შესრულების პირობები

6.1 სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2,1 პუნქტს.

6.2 სამუშაოს შესრულება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

6.3 სამუშაოს შესრულება განხორციელდება ქ.თბილისი წინამძღვრიშილის ქუჩა/ცაბაძისს ქუჩა N200/11.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7,1 შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტის დადასტურებას განახორციელებს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სააგენტოს" ადმინისტრაციული სამსახურის მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ფიფაიშვილი **პ/N01023008309**

8 პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016ნ წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურება,

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11 ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

14 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17 დამატებითი პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი

შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

19. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო"
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ.N6
საიდენტიფიკაციო კოდი: 204585564
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 591 40 40 12

ხატია ჯიქურიძე
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:

ფიზიკური პირი
მაია იზორია
მის: ქ. თბილისი გორგასლის ქN39. ბ.11
პ/N 01015024914
მომსახურე ბანკი: ს.ს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
მიმღების ანგარიში:GE78TB4928645063622520
ტელ.: 555 19 66 15

მაია იზორია
ფიზიკური პირი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

24 ოქტომბერი 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“** და **ფიზიკური პირი მაია იზორიას პ/N 01015024914** შორის 2016 წლის 24 ოქტომბერს N1-85 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

_____ ხატია ჯიქურიძე

_____ ზურაბ ფიფაიშვილი

_____ თამარ გულიაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი
N1-85/1

ქ. თბილისი

26 „ოქტომბერი " 2016წ

წინამდებარე აქტი შედგენილია მასზედ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო"-სა (შემდგომში მიმწოდებელი) და ფიზიკური პირი მაია იზორიას (შემდგომში მიმწოდებელი) შორის 2016 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N1-85 -ის შესაბამისად მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია შემდეგი სახის მომსახურება: **ქ. თბილისში წინამძღვრიშილის ქუჩა/ცაბაძის ქუჩაN200/11-ში მდებარე შენობის მშენებლობის ნებართვისათვის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (საკადასტრო კოდი N 01.13.07.023.063.01.529) (საექსპერტო მომსახურება CPV 7131900)**

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1250,00 (ერთიათას ორას ორმოცდაათი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით

სსიპ „ბირთვული და რადიაციული
უსაფრთოების სააგენტო „
ადმინისტრაციული სამსახურის
მოწვეული სპეციალისტი
ზურაბ ფიფაიშვილი

ფიზიკური პირი
მაია იზორია

ინსპექტირების დასკვნა

ქ. თბილისი

„26“ ოქტომბერი 2016წ.

სსიპ „ბირთული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“-სა და შპს „გეორგინა”-ს შორის 2016 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 1-85 მე-5 მუხლის 5.4 პუნქტის საფუძველზე განვახორციელე ინსპექტირება.

აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, შესყიდული იქნა შემდეგი მომსახურება: შენობის მშენებლობის ნებართვისათვის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

ადმინისტრაციული სამსახურის მოწვეულმა სპეციალისტისმა ზურაბ ფიფაიშვილმა 2016 წლის 26 ოქტომბერს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად.

დ ა ვ ა ს კ ვ ე ნ ი:

საქონელი აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. (2016 წლის 26 ოქტომბერს №1-85/1 მიღება-ჩაბარების აქტი) ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ადმინისტრაციული სამსახურის
მოწვეული სპეციალისტი
ზურაბ ფიფაიშვილი